საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030651563898421

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/2222 **14 / ივნისი / 2021 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთლობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველ მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში განხილულ იქნა 26/05/2021 წელს შემოსული წერილი (N10-442114616), რომელიც ეხება ქ. ქუთაისის გენერალური გეგმის კონცეფციის მონაცემების მესამე ეტაპის ფარგლებში დამუშავებული დოკუმენტის საბოლოო ვერსიის განხილვას და რეკომენდაციების მომზადებას.
აღსანიშნავია, რომ საქართველოს გარემოდაცვითი შეფასების კოდექსის (მუხლი - 23), სტრატეგიული დოკუმენტის სკრინინგის მოთხოვნების შესაბამისად, დამგეგმავი ორგანო უფლებამოსილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართოს სკრინინგის განცხადებით და წარუდგინოს სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია ან პროექტი (იგი უნდა მოიცავდეს მოკლე ინფორმაციას სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების, ამოცანებისა და ღონისძიებების შესახებ) მისი შემუშავების შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე და შესაბამისად, საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით მოხდება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.
რაც შეეხება, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის #260 დადგენილებას „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ (მუხლი - 18), სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ჩართვა ადმინისტრაციულ წარმოებაში - შესაბამისად, ქ. ქუთაისის გენერალური გეგმის კონცეფციის საბაზისო მონაცემების საბოლოო ვერსიის განხილვა და რეკომენდაციების მომზადება მოხდება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების სრული დაცვით.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე